



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №507

თბილისი

23. 07

2011 წ.

2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების უფლების მქონე პირთა დადგენის მიზნით კომისიის შექმნის, განცხადების ფორმის და წარმოსადგენი დოკუმენტების წუსხის დამტკიცების შესახებ

"2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის №274 დადგენილების, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ლ" და "მ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების უფლების მქონე პირთა დადგენის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ნოდარ სურგულაძე - მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ეკა გვარამია - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის მდივანი);

გ) ვალერიან გობრონიძე - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) ეკა რურუა - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

ე) ნუგზარ ჩიტაია - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ვ) მინდია ოკუჯავა - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

ზ) კლათონ ფეიქრიშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

თ) ნინო ნადირაშვილი - ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

ი) მათა გაბუნია - სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის ჯგუფის მთავარი ლოჯისტიკი;

კ) გურამ უგრეხელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლ) სოსო ცოტნიაშვილი - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების დეპარტამენტის დირექტორი;

მ) ალექსანდრე აპლაკოვი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.


2. დამტკიცდეს 2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისათვის წარმოსადგენი განცხადების ფორმა დასართი 1-ის შესაბამისად;

3. დამტკიცდეს 2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დასართი 2-ის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

დimitრი შაშკინი



დანართი 1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს, ბატონ დიმიტრი შაშვიანს

იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის

.....
(სახელი, გვარი)

.....
(პირადი ნიშნობა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სოციალური პროგრამის ფარგლებში
სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მიზნით.

2011 წელს ჩავირიცხე

.....
(უნაღესო საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი)

დანართი: ფურცელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შესაბამისი გრაფა მონიშნეთ):

- პირადობის მოწმობის ასლი,
- იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ასლი;
- ცნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი

მაზილური

ფიქსირებული ტელეფონი..... ელ-ფოსტა.....

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და
ვაცნობიერებ აღნიშნულიდან დაკავშირებით ჩემ პასუხისმგებლობას.

განმცხადებლის ხელმოწერა განმცხადებლის შევსების თარიღი.....

**2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა
სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით
დაფინანსებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა**

2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2011 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
3. ცნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.